ᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲗᲘᲡᲒᲐᲜ, ᲨᲔᲛᲣᲠᲗᲔᲑᲘᲗᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲐᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲠᲑᲐᲜᲝ

ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.
ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ
5
ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ
1934 წ.
№ 231 (4087)

ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ

— **ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ** ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲡ ᲐᲛᲜᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.
— **ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ** ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲐ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ.
— **ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ** ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲛᲐ ᲨᲣᲠᲘᲐᲨᲘ.
— **ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ** ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲗᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ.
— **ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ** ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲐ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.
— **ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲛᲓᲔᲑᲚᲝ** ᲐᲥᲢᲘ ᲐᲛᲮ. ᲢᲔᲚᲛᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲐᲚᲛᲓᲔᲑᲔ.
— **ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ** ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲐᲚᲛᲓᲔᲑ ᲙᲚᲘᲠᲓᲔᲑᲐ.
— **ᲡᲐᲠᲐᲘᲝᲜᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ** ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲨᲘ.

ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲗᲐᲛᲑᲐᲫᲝᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲞᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲗᲐᲛᲑᲐᲫᲝᲡ ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ **ᲑᲐᲓᲐᲒᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ.** ᲐᲮᲚᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲗᲐᲛᲑᲐᲫᲝᲡ **ᲞᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ** ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ. ᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲛ�პᲐᲜᲘᲐᲡ. ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ᲗᲐᲛᲑᲐᲫᲝᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ **ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲝᲑᲓ:**

ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲡᲐᲒᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის წარმატებითი-ჩატარებისათვის მთელ საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში ფართოდ იშლება მუშაობა. საბჭოთა კავშირის ცაკის მიმართვა და საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილ დადგენილებებს რომლებიც უდიდეს პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენენ, იხილავენ მუშათა და კოლმეურნეთა მასები. მომავალ საბჭოთა არჩევნებს საბჭოთა კავშირი უდიდესი მიღწევებით ხვდება, რაც უზრუნველყო ლენინური პარტიისა და ათავრობის სწორმა პოლიტიკამ, მისმა ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ სოციალისტურ მშენებლობაზე, მუშათა და კოლმეურეთა განუზომელად გაზრდილმა პოლიტიკურმა აქტივობამ და საწარმოო ენტუზიაზმმა.

ჩვენი ქვეყანა დაიფარა ახალი ფაბრიკების, ქარხნების, საბჭოთა მეურნეობების და სამ.-სატრ. საგურების ქსელით.

საბჭოებმა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებმა — პარტიის ხაზის გატარების აქტიურმა მებრძოლებმა, უდიდესი როლი ითამაშეს სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტზე გამარჯვებაში. მათი (საბჭ. როლი კიდევ უფრო იზრდება მეორე ხუთწლედში **„პროლეტარიატის მტკიცე და ძლიერი დიქტატურა, — აი, რა გვესაჭიროება ჩვენ ახლა იმისათვის, რომ გავაცამტვერეთ მომაკვდავი კლასების უანასკნელი ნაშთები და დავამსხვრიოთ მათი ქურდული მახინაციები“** (სტალინი).

საბჭოების **მე-17 ყრილობის საელადობის საწარმოო ლაშქრობას,** რომელიც მოსკოვის პოწინავე ქარხნების მუშათა ინიციატივით დაიწყო, ფართოდ უნდა გამოეხმაუროს საქართველოს ყველა საწარმო და კოლმეურნეობა, რათა საბჭოების ყრილობას შეხვდეს საწარმოო დავალებათა **ყველა მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულებით.** თვითეული წარმოების და კოლმეურნეობის პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების ღირსების საქმეა იმების შესრულებაზე ყრილობათვის **პატაკის მიცემის უფლების მოპოვება.**

საბჭოების საგადარჩევო კამპანიამ კიდევ უფრო უნდა გააძლიროს საბჭოების როლი, განამტკიცოს მათი ხელმძღვანელობა კოლექტიურ სოფელზე.

საბჭოების საანგარიშო საგადარჩევო კამპანიის წარმატებით ჩაბარება დიდად არის დამოკიდებული წინასწარ მოსამზადებელ მუშაობაზე. საქართველოს თითქმის ყველა რაიონში გამოყოფილი საარჩევნო კომისიები, მაგრამ მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ არ შედგომია საქმიან მუშაობას:

ხმის უფლებას მოკლებულთა და ამომრჩეველთა სიები ახლავე უნდა იქნეს შედგენილი. კლასობრივი მტრები, კულაკური ელემენტები და მათი დამქაშები უნდა გამოვამჟღავნოთ დაუზოგავად.

საანგარიშო საგადარჩევო კამპანიაში ფართოდ უნდა ჩავაბათ მშრომელი მოსახლეობა, **გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა და გამოვამჟღავნოთ საბჭოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.**

ᲗᲐᲛᲑᲐᲫᲝᲡ ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და რაიონული პარტორგანიზაციის ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობით და დამარებით თამბაქოს ნაადრევი დამზადების გეგმა 1934 წლის მოსავლიდან საქართველოში შესრულებულია მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე — 30 სექტემბერი. გეგმით გათვალისწინებულ 800 ტონის, ნაცვლად **დამზადებულია 888 ტონა** ანუ 111 პროცენტი. შევიტანეთ ძირითად დამზადებას.

„საქთამბაქნედლეულის“
მმართველი ᲓᲐᲛᲔᲜᲘᲐ.

ᲐᲠᲛᲘᲐ ᲐᲛᲒᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ

ᲔᲠᲗᲐ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 3 ოქტომბერი. „ᲔᲠᲘᲜᲘᲐᲡ“ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲔᲠᲘᲗ“ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, რომ ᲔᲠᲘᲜᲘᲐᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲛᲘᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ.

ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲜ ᲔᲠᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲪᲔᲛᲘᲐ ᲐᲠᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ.

ᲔᲠᲗᲐ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲪᲔᲛᲘᲐ ᲐᲠᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲜ ᲔᲠᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ: „ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ“

ᲔᲠᲗᲐ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ. „ᲔᲠᲘᲜᲘᲐᲡ“ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲜ ᲔᲠᲗᲐᲜᲘᲗᲐᲜᲘ ᲚᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲜ ᲔᲠᲗᲐᲜᲘᲗᲐᲜᲘ ᲚᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ.

ᲛᲐᲜ ᲣᲓᲔᲓᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲐᲪᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲤᲝᲗᲔᲑᲐ. ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲓᲐ ᲛᲔᲡᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ. ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲜ ᲘᲡᲐᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲐᲡ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 2 ოქტომბერი. გაზეთების ცნობით, სამხედრო სამინისტრომ 1 ოქტომბერს გამოაქვეყნა ბროშურა სახელწოდებით **„სახელმწიფო თავდაცვის ნამდვილი მნიშვნელობა და სახელმწიფო თავდაცვის განმტკიცების საშუალებანი“.**

ბროშურა გამოხატავს არძიის შეხედულებებს ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობაზე, აძასთან, ეხება რა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მხრით მოსალოდნელ „საფრთხეს“, მოუწოდებს თავდაცვის განმტკიცები საკენ შეიარაღების, განსაკუთრებით საჰაერო შეიარაღების გადიდების გზით, აგრეთვე შეიცავს მთელ რიგ დემაგოგიურ ანტიკაპიტალისტურ ლოზუნგებს, რომლებიც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში წამოაყენა ბეერმა ფაშისტურმა ორგანიზაციამ. ბროშურა ხამხედრო სამინისტრომ დ. გზავნა 160 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით.

მან უდიდესი სეხსაცია და შეშფოთება გამოიწვია. პოლიტიკურ და ეკონომიურ წრეებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს პირველი ამგვარი შემთხვევაა.

თავისრომის წრეები დაინახეს, მათ არ ეს მით, რატომ დაინახა საჭიროდ სამხედრო სამინისტრომ ბროშურის გამოქვეყნება „ა ოლაძეხლის საგანგები სესიის მოწვევის წინ. გაზეთების სიტყვით, ზედა ალატის წრეებში გამოთქვამენ შიშს, რომ ამკოა ეამოსვლა უცხო სახელმწიფოების წინააღმდეგ გაატარესებს იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობას.

„გაზეთების ბროშურის გამოქვეყნებას ადიოენენ „ერესის გავარონის“ და აღინიშნავეს, რომ „თავრობის წრეებში ცდილობენ გამოთაქვეთ გამოხატვის თუ არა ბროშურა მთელი არმიის შეხედულებებს. დდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საკითხს იცოდა თუ არა ხაიასმ ბროშურის გამოქვეყნების ამბავი“.

ნა ეგასამით აღნიშნავს რა, რომ „ძთავრობამ წინდაწინ არ იცოდა ბროშურის გამოქვეყნების ამბავი და ამიტომ ახლა შეძრწუნებულია, რამდენადაც ბროშურაში ლაპარაკია იაპონიის ეკონომიური წყობილების რეფორმაზე თავდაცვის თვალსაზრისით, „ძი-ძი“ წერს: „მართალია ცნობილია, რომ ჯარში არსებობს ასეთი შეხედულებები. თავიერობამ არ მიაქცია ყურადღება, როცა ამგვარი აზრი გამოითქვა არაკის პირადი შეხედულებების სახით. მაგრამ ბროშურა ოფიციალურია. რამდენადაც ეს შეხედულებები მოგვაგონებს სახელმწიფოს რეკონსტრუქციის იდეებს, ოფლეესაც ქადაგობს ზოგიერთი წრე, მთავრობის წრეები გამოთქვაენ შეყვანილ „ეს“ შეცდომაში. მან შეიძლება იფიქროს, რომ **არმია ამზადებს პირველ ნაბიჯებს სამხედრო დიქტატურის დასამყარებლად,** ითა თავი გაართვას საერთაშორისო კრიზისს“.

თავრობის სამოქალაქო ნაწილი ბაზგასმით აღნიშნავს, რომ სამხედრო წრეები არ შეთანხმებულან თავრობის წრეებთან ბროშურის გამოქვეყნების მიზანშეწონილობის შესახებ.

„ძი-ძი“ აღნიშნავს, რომ კაბინეტის გენერალურ მდგომარეობა მიეცა გამოარკვიოს რა პირობებში გამოქვეყნდა ბროშურა.

სამხედრო სამინისტრო, წერს „ნიკი-ნიკი“, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში სამხედრო წრეებს არაერთხელ მიუკიათ რჩევა კაბინეტისათვის განეხორციელებინა სახელმწიფო ოლიტიკა თავდაცვის განმტკიცების თვალსაზრისით, მაგრამ სამხედრო წრეების წინადადებათა დეტალები არ ქვეყნდებოდა. ახლახდელი საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა, განაგრძობს გაზეთი, სამხედრო სამინისტროს აზრით არ აძლევა საშუალებას საიდუმლოებით მოცული დარჩეს საკითხი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შესახებ და ამიტომ ბროშურა ოფიციალურად გამოქვეყნდა“. (ადს).

#

ᲢᲝᲙᲘᲝ, 3 ოქტომბერი. აღნიშნავს რა, რომ ოფიციალურ წრეებში თავს იკავებენ სამხედრო სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ბროშურის კომენტარიებისაგან, სიმბუნ რენგოს საგაზეთო წერს:

„საერთოდ ფიქრობენ, რომ ბროშურა გამოხატავს არა **ხაიასის** (სამხედრო მინისტრი) ოფიციალურ შეხედულებებს, არამედ მხოლოდ სამხედრო სამინისტროს საგაზეთო გახყოფილების ძოხელეთა პირად შეხედულებებს“. (ადს)

#

ᲢᲝᲙᲘᲝ, 3 ოქტომბ. ზოგიერთ პოლიტიკურ წრეში და მთავრობის წევრთა წრეებში ბროშურას უწოდებენ „მეორე განცხადებას“, რომელიც გათვალისწინებულია „იმისათვის, რომ ჯარი დააშოროს ხალხს. „კოკუბინის“ სიტყვით, პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ პარლამენტის წარსულ სესიაზე შეკითხვების საპასუხოდ ხაიასმ განაცხადა, რომ სამხედრო პირები არ უნდა გამოთქვამდენ თავის შეხედულებებს პოლიტიკურ საკითხებზე, მათი შეხედულებები უნდა გამოხატოს ხაიასმ, რომ მინისტრია. ბროშურის გამოქვეყნება ეწინააღმდეგება ხაიასის პასუხს. სამხედრო წრეები,—წერს „კოკუბინი“,—ზედმეტად თვლიან რაიმე დამატებითი განმარტების მიცემას. (ადს).

ᲡᲐᲒᲠᲐᲚᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲐᲥᲢᲘ ᲢᲔᲚᲛᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲐᲚᲛᲓᲔᲑ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 3 ოქტომბერი. დიმიტროვის დამცველმა კომიტეტმა, რომელიც თავის დროზე დაარსდა ლონდონში, გამოაქვეყნა ცნობილი ლეიბორისტის **ლოუ-ბენსის** განცხადება, რომელშიაც მას მოუყავს **ტელმანს** წინააღმდეგ შედგენილი საბრალდებელო აქტის შინაარსი. საბრალდებელო აქტის შემდგენელნი ცდილობენ ეაღიქვამენ განცხადებაში, დაეკისროთ ტელმან ბასუხისმგებლობა გერმანიის კომპარტიის ყველა სიტყვისა, წერილობითი კამოსვლებისა და მოქმედებისათვის მისი ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში. განცხადებაში აღნიშნულია, რომ თუ ეს ბრალდება ძალაში დარჩა, ამით შეიქმნება ახალი არსებული იურისპრუდენციაშია. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნაწილს საბრალდებელო აქტისა, რომელიც, ალბათ, თავის ბეჭედს დაასვამს მთელ პროცესს, ეწარმოადგენს ანგარიშით მესაგე ცდა დამტკიცონ, რომ 1933 წლის თებერვალში გერმანიის კომპარტია ეგანყებას „ბ. ᲒᲐᲠᲓᲐᲜᲘᲐ“ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ.

ᲡᲐᲒᲠᲐᲚᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲐᲥᲢᲘ ᲢᲔᲚᲛᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲐᲚᲛᲓᲔᲑ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 3 ოქტომბერი. დიმიტროვის დამცველმა კომიტეტმა, რომელიც თავის დროზე დაარსდა ლონდონში, გამოაქვეყნა ცნობილი ლეიბორისტის **ლოუ-ბენსის** განცხადება, რომელშიაც მას მოუყავს **ტელმანს** წინააღმდეგ შედგენილი საბრალდებელო აქტის შინაარსი. საბრალდებელო აქტის შემდგენელნი ცდილობენ ეაღიქვამენ განცხადებაში, დაეკისროთ ტელმან ბასუხისმგებლობა გერმანიის კომპარტიის ყველა სიტყვისა, წერილობითი კამოსვლებისა და მოქმედებისათვის მისი ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში. განცხადეაში აღნიშნულია, რომ თუ ეს ბრალდება ძალაში დარჩა, ამით შეიქმნება ახალი არსებული იურისპრუდენციაშია. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნაწილს საბრალდებელო აქტისა, რომელიც, ალბათ, თავის ბეჭედს დაასვამს მთელ პროცესს, ეწარმოადგენს ანგარიშით მესაგე ცდა დამტკიცონ, რომ 1933 წლის თებერვალში გერმანიის კომპარტია ეგანყებას „ᲒᲐᲠᲓᲐᲜᲘᲐ“ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲐᲚᲛᲓᲔᲑᲔ

ᲕᲐᲜᲕᲐᲜᲘ, 3 ოქტომბერი. ადგილობრივი პრესა ხარბინიდან იუწყება. რომ გრინიის რაიონში იაპონიის ჯარის ხაწილებსა და პარტიზანებს შორის ეარო ბრძოლა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს რაიონში მომქმედი პარტიზანული რაზმი შესდგება 600 კაცისაგან. რომლებიც შეიარაღებული არიან თოფებით და 15 ტყვიამფრქვევით. ბრძოლები ბრძოლობ მას შემდეგ, რაც გაიმარჯვეს პარტიზანულმა რაზმებმა, რომლებმაც ხასტიკად დამარცხეს მანჯურიის კავალერიის რაზმი.

აქ მიღებული ცნობებით, აარტიზანები, რომლებსაც ხელს უწყობენ ადგილობრივი ეარები, ხასტიკ წინააღმდეგობას უწევენ **იაპონის ჯარებს.** იაპონიის სარდლობა ანაგრძობს დამხმარე ძალების გზებას.

როგორც „ერენგოს“ საგაზეთო იუწყება, აპონიის ხორისთვალთ ანშრომლული აქვთ ატარონ ენერგიული კამპანია „პარტიზანული რაზმების ბოსსპრბად“ მოკალენის რეგიონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

ავენტის გამოანგარიშებით. ამ რაიონში რტიზანული ნაწილები დაახლოებით 10 ოასი მეიმრისაგან შესდგება (ადს).

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲐᲚᲛᲓᲔᲑᲔ

ᲡᲐᲣᲗᲝᲠᲘ, 3 ოქტომბერი. ლეიბორისტული პარტიის ყრილობაზე გაიმართა კამათი ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გარშემო ომის საკითხზე. მოხსენების დედაარს შედგენს საყოველთაო გაფიცვის ლოზუნგის ლეკვიდაცია ომის გამოცხაიების შემთხვევაში. კამათში სიტყვა იძლეოდა მხოლოდ და მხოლოდ სავსებით „სამედო“ პირებს და უგულებელყოფილი რჩებოდენ ახალგაზრდობის წარმომადგენელნი. რომელნიც მოხსენების წინააღმდეგ არიან განწყობილნი. იშვიათ შემთხვევაში, როცა გამოდიოდენ ოპოზიციის წარმომადგენელები, მათ ხელს უშლიდენ ლაპარაკის დროს. ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ტაში დაუკრეს, როცა ტრიბუნიდან წამოყენებულ იქნა წინადადება, რათა პარლამენტის ლეიბორისტებ. ფრაქციია გამოვიდეს მოთხოვნით „არ მიეცეს იაპონიას არც ერთი ზარბაზანი, არც ერთი წყალქვეშა ნავი, არც ერთი პენსი, თუ იგი თავს დაუხმის **საბჭოთა კავშირს“.** ტაშით შეხვდენ აგრეთვე განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირი შევდგა ერთა ლიგაში ომის გამჩაღებელთა მხილების მიზნით. სოციალისტური ლიგის წარმომადგენელმა **მელერმა** წამოაყენა მოთხოვნა, რათა ზომაევლა ლეიბორისტულმა მთავრობამ თავიისი საგარეო პოლიტიკა მეტადროდ დაუკავშიროს საბჭოთა კავშირს.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲐᲡ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 2 ოქტომბერი. გაზეთების ცნობით, სამხედრო სამინისტრომ 1 ოქტომბერს გამოაქვეყნა ბროშურა სახელწოდებით **„სახელმწიფო თავდაცვის ნამდვილი მნიშვნელობა და სახელმწიფო თავდაცვის განმტკიცების საშუალებანი“.**

ბროშურა გამოხატავს არძიის შეხედულებებს ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობაზე, აძასთან, ეხება რა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მხრით მოსალოდნელ „საფრთხეს“, მოუწოდებს თავდაცვის განმტკიცებისაკენ შეიარაღების გადიდების გზით, აგრეთვე შეიცავს მთელ რიგ დემაგოგიურ ანტიკაპიტალისტურ ლოზუნგებს, რომლებიც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში წამოაყენა ბეერმა ფაშისტურმა ორგანიზაციამ. ბროშურა ხამხედრო სამინისტრომ დ. გზავნა 160 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით.

მან

ბრძოლისა და გამარჯვების 15 წელი

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

Молодой рабочий

„მოლოდინი რაბოჩის“ 15 წელი — ა.-კ. ლენინური კომკავშირის გმირული გზაა

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი მიესალმება ამიერ-კავკასიის კომკავშირის მებრძოლ ორგანოს „მოლოდინი რაბოჩის“ მისი არსებობის 15 წლისთავზე.

„მოლოდინი რაბოჩის“ 15 წლის გზა — ეს არის ამიერ-კავკასიის ლენინური კომკავშირის გმირული გზა, რომელიც განვლილია პარტიის ხელმძღვანელობით ბრძოლაში საბჭოთა ამიერ-კავკასიისათვის, ა.-კ. სფს რესპუბლიკის შექმნისა და მისი სამეურნეო-პოლიტიკური ძლიერების გამტკიცებისათვის, მხარის ელექტროფიკაციის ლენინური იდეების შესრულებისათვის, ნავთისა, ქვანახშირისა, მარგანეცისა და სპილენძისათვის, ხიფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, ბამბისა, ჩაისა და თამბაქოსათვის, ციტრუსოვანი კულტურებისა და მეცხოველეობისათვის, მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა ბანდების მიერ განადგურებული ყოფ. მეფის კოლონიის გადაქცევისათვის საბჭოთა კავშირის აყვავებულ მხარედ.

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი გამოხთქვამს რწმენას, რომ „მოლოდინი რაბოჩი“ შემდეგშიაც იქნება პარტიისა და კომკავშირის აქტიური თანაშემწე, რათა დარაზმოს კომკავშირელთა მასები მუშა, კოლმეურნე და ამიერ-კავკასიის მთელი მშრომელი ახალგაზრდობა ისეთი ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად როგორიცაა: ამხ. სტალინის მითითებების, პარტიის შტაბის—საკ. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის — დირექტივების და პარტიის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად შესრულება, ამიერ-კავკასიის ფედერაციის და მასში შემავალ რესპუბლიკებს სამეურნეო და პოლიტიკური ძლიერების შემდგომი განმტკიცება ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების საფუძველზე.

მედგრად იბრძოლეთ კომკავშირის განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ თვითეული პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია გადააქციოთ მებრძოლ ინიციატივიან კოლექტივად. აღზარდეთ ახალგაზრდობა ჩვენი დიდი პარტიისადმი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების საფუძველზე, მებრძოლი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი.

მომავალშიც მოწინავე პოზიციებზე

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ტფილისის კომიტეტი მიესალმებიან ამიერ-კავკასიის კომკავშირის მებრძოლ ორგანოს „მოლოდინი რაბოჩის“ მის სახელოვან 15 წლისთავზე.

„მოლოდინი რაბოჩის“ პარტიის და კომკავშირის ხელმძღვანელობით ბრძოლის ყველა ფრონტზე ბრძოლის სახელოვანი გზა და იგი სათავეში უდგას ამიერ-კავკასიის მშრომელი ახალგაზრდობის შემოქმედების ენტუზიაზმს. საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ტფილისის კომიტეტი ვამოსთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ „მოლოდინი რაბოჩი“ მომავალშიაც იქნება მოწინავე პოზიციებზე უკლასო სოციალისტური საზოგადოების და ახალი კულტურის აშენებისათვის ბრძოლაში, იგი მაღლა დაიჭერს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის და მშრომელი ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის დროშას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ტფილისის კომიტეტი.

„კომუნისტის“ რედაქციისაგან

უძველეს კომკავშირულ გაზეთს, რომელიც 15 წელიწადია შეურყევლად რაზმავს ამიერ-კავკასიის მრავალ ათასიან კომკავშირულ და უპარტიო მშრომელ ახალგაზრდობას ლენინ-სტალინის პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარებისათვის, „კომუნისტის“ რედაქცია (საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური ორგანო) უგზავნის მხურვალე ბოლშევიკურ სალამს.

ვცოცხალობთ ლენინური კომკავშირის უძველეს გაზეთის „მოლოდინი რაბოჩის“, რომელმაც განვლო ბოლშევიკური საბჭოური პრესის ბრძოლა, დაუღალავი რევოლუციური ბრძოლის 15 წლისთავს.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ახალგაზრდათა მასების ორგანიზაციის და მათი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულების საფუძველზე, აღზრდის საქმეში.

გახსოვდეთ ამხ. სტალინის დავალება — მაღლა გეჭიროთ ლენინური პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა და იბრძოლეთ მთელი მსოფლიოს რევოლუციურ ახალგაზრდობასთან ძმური კავშირის განმტკიცებისათვის.

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომი—**ვ. ჩემოდანოვი.**

ამხ. სტალინის მისალმება

ქიევი, 3 ოქტომბერი. მივესალმეთ საბჭოთა კავშირის ერთერთ უძველეს კომკავშირულ გაზეთს „მოლოდინი რაბოჩის“ მისი 15 წლისთავზე.

ვუსურვებ გაზეთს წინანდებურად იყოს მებრძოლი ინიციატორი და ორგანიზატორი სახელოვანი ამიერ-კავკასიის კომკავშირის ბრძოლაში, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურული შენებლობის შემდგომი გაშლისათვის, დაუღალავად იბრძოლოს დიდი კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის, დიდი ლენინელის, პარტიის და ყველა მშრომელის ბელადის ამხ. სტალინის მითითებათა შესრულებისათვის.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მებრძოლ ლენინურ კომკავშირს.

გამარჯვებათა სახელოვანი გზა

მხურვალე გულწრფელი სალამი უძველესი კომკავშირული გაზეთის „მოლოდინი რაბოჩის“ რედაქციას, მის თანამშრომლებს, ახალგაზრდებს და მკითხველებს.

თქვენმა გაზეთმა თავისი არსებობის 15 წლის მანძილზე ლენინ-სტალინის ხელმძღვანელობით განვლო ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა კომკავშირელთა მასების, მშრომელი ახალგაზრდობის ორგანიზაციის და მათი, ლენინის მოძღვრების საფუძველზე, აღზრდის საქმეში და ამ გზაზე მას დიდი მიღწევები აქვს.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს, რათა დარაზმოთ მშრომელი ახალგაზრდობა სოციალისტური საზოგადოების მთლიანად აშენებისათვის საბრძოლველად.

ფ. მახარაძე.

მაღლა გეჭიროთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა

ბოლომდე დავიყვანოთ დაწყებული საქმე

საკ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტმ მხურვალე კომკავშირულ სალამს უგზავნის ა.-კავკასიის კომკავშირელებს და ახალგაზრდობის მებრძოლ ორგანიზატორს „მოლოდინ“ რაბოჩის“, მის აბკორებს და მკითხველებს.

„მოლოდინი რაბოჩის“ — ამიერ-კავკასიის კომკავშირული პრესის პირველმა, რომელიც ჩაისახა პროლეტარულ ბაკოში, 1919 წელს, მენშევიკურ-დაშნაკურ-მუსავატისტური სასტიკი ტერორის პირობებში — 15 წლის სახელოვანი გზა განვლო.

მაღლა ეჭირა რა ბოლშევიზმის დროშა, „მოლოდინი რაბოჩი“ გადაიქცა მძლავრ იარაღად ლენინ-სტალინის დიდი პარტიის გარშემო მუშა და მშრომელი ახალგაზრდობის შემკვიდრეობის საქმეში, ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნისა და მისი სამეურნეო-პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

საკ. ალკკ ა.-კ სამხარეო კომიტეტი დარწმუნებულია, რომ „მოლოდინი რაბოჩი“ საკ. კ. ბ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით მომავალშიაც იქნება ახალგაზრდობის მებრძოლი ორგანიზატორი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შემდგომი გატარებისათვის ბრძოლაში, სოციალისტური საზოგადოების მთლიანად აშენებისათვის ბრძოლაში.

განამტკიცეთ კავშირი კომკავშირელთა ფართო მასებთან, მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობასთან, შემოიკრებეთ ახალგაზრდა, „მხუბუჟი კავალერიის“ მძლავრი აქტივი. მიიღწიეთ თქვენ ყოველი გამოხვლის ბოლშევიკური ეფექტიანობა, ბოლომდე დაიყვანეთ ყოველი თქვენ მიერ დაწყებული საქმე.

ახალგაზრდობის დაუღალავი მობილიზაციისთვის პარტიის მე-17 ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, დიდი სტალინის მითითებათა შესრულებისათვის საბრძოლველად — გაალიერეთ ბრძოლა კომკავშირის ბოლშევიკურად გარდაქმნისათვის, კიდევ უფრო მედგრად იბრძოლეთ შრომის კულტურისათვის, ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრების კულტურისათვის. ფართოდ გავრცელეთ კომკავშირული ორგანიზაციების საუკეთესო გამოცდილება.

უფრო გაბედულად გაშალეთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა, გამოიყენეთ კომკავშირული ბიუროკრატები, თავაზეულ ადმინისტრატორები, ახალგაზრდობა მოწუვეტილი „ხელმძღვანელები“. ყოველდღიურად აწარმოეთ ბრძოლა თვითეული კომკავშირელის შეხედულებლად მარქს ლენინ-სტალინის თეორიით, ახალგაზრდობის ალაზრდელად მებრძოლი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, ჩვენი დიდი პარტიის ყოველგვარი დავალების შესასრულებლად საბრძოლო მზადყოფნის საფუძველზე.

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს და მის მებრძოლ შტაბს — საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს საკ. კ. ბ. (ბ) ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ სამხარეო კომიტეტს და ა.-კ. პარტორგანიზაციების ნაცად ხელმძღვანელს ამხ. ბერიას!

გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ პარტიას, პარტიის და მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელ ბელადს — ამხ. სტალინს!

კომიტეტის მდივანი ბერიზორიანი

#

მისასალმებელი დეპეშები „მოლოდინი რაბოჩის“ სახელზე

„მოლოდინი რაბოჩი“-ს რედაქციამ მისასალმებელი დეპეშები მიიღო აგრეთვე ა.-კ. სფს. რ-ის ცაკისაგან, საქართველოს სახკომსაბჭოსაგან, სომხეთის ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტისაგან, სომხეთის სახკომსაბჭოსაგან და სომხეთის კ. პ. (ბ) ცკ კომიტეტისაგან, საკ. ა. ლ. კ. კის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისაგან; ბაქოს ძველ კომკავშირელებისაგან; აზერბაიჯანის და სომხეთის ცენტრალური გაზეთების რედაქციებისაგან და სხვ.

აგრეთვე მიღებულია მისალმებანი ესპანეთის კომკავშირის ცენტრალ. კომიტეტისა და იტალიელი კომკავშირელებისაგან.

ს.ს.რ. კ-ის სახკომსაბჭოში

სკოლების მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დიდი დადგენილება სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის (1934—35 წ.) მომზადების შესახებ.

ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭომ გამოარკვია, რომ თვალი რიგი მაჩვენებლების მხრივ — სახელმძღვანელოებით და საწერი ნიგთებით მომარაგება, სათბობით უზრუნველყოფა, სკოლების მიმდინარე რემონტი, ავეჯის შეძენა—დაწყებითი და საშუალო სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის უკეთესად მომზადებული, ვიდრე გასულ წელს იყო.

ამავე დროს, თვალ რიგ რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში, განსაკუთრებით სარატოვის მხარეში და ხელიანინსკის ოლქში, სკოლების საგრძნობი ნაწილი სასწავლო წლისათვის არადამაკმაყოფილებლად არის მომზადებული.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სკოლების მშენებლობის და მთი კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულება როგორც აღმასკომების, ისე სამეურნეო ორგანოების ხაზით. მაგალითად, რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში 2.515 სკოლიდან 1 სექტემბრისათვის დამთავრებული იყო მხოლოდ 416 სკოლის მშენებლობა, მზადყოფნის პროცენტი 60-დან 90 პროც.-მდე აქვს 1.278 სკოლას; გზათა სახალხო კომისარიატის, სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის და კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის ხაზით არც ერთი სკოლა არ არის დამთავრებული, ხოლო საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ხაზით 144 სკოლიდან დამთავრებულია 6.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა უმთავრესად სასკოლო შენობათა საგრძნობი რიცხვის მშენებლობის და რემონტის ხარისხის მხრივ, რაც აიხსნება იმით, რომ აღმასკომები და მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომები ამ საქმეს არ უწევენ საჭირო ტექნიკურ საამშენებლო ხელმძღვანელობას.

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს და სამხარეო აღმასკომებს 1934 წლის 1 დეკემბრისათვის უზრუნველყონ იმ სკოლების მშენებლობის დამთავრება, რომელთა ექსპლოატაცია გეგმის მიხედვით უნდა დაიწყოს მიმდინარე წელს, ამოაჭონ ოქტომბრის განმავლობაში საჭირო მასალა და სახსრები და შეადგინონ სასკოლო მშენებლობის დამთავრების დაწერილებითი გეგმა ოლქების მიხედვით სკოლების ექსპლოატაციის დაწყების ზუსტი ადის აღნიშვნით.

გარდა ამისა, უნდა დაწესდეს საექსპლოატაციოთ გადასაცემი სასკოლო შენობების, ავადმყოფთა მიღება სპეციალური კომისიის მიერ. ზესამოლიტ მშენებლობის და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ წარმოებული მშენებლობის სასკოლო შენობათა ნაწილება ეკისრება ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების და სამხარეო აღმასკომების კომისიებს განსახკომების და სამხარეო და საოლქო განათლების განყოფილებების აუცილებელი მონაწილეობით და სპეციალისტ მშენებლების და პედაგოგების მონიდვით. დანარჩენი მშენებლობის სასკოლო შენობათა მიღება ევალება საქალაქო საბჭოების და რაიაღმასკომების სათანადო კომისიებს.

ს.ს.რ. კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დაევალა გაეღოს გეგმის ზეგით 1934 წლის მე-4 კვარტალში სკოლების მშენებლობის დასამთავრებლად 180 ათასი კვ. მეტრი მინა და 110 ტონა ლურსმანი, რაც დანიშნულებისაშებრ უნდა გაიგზავნოს ოქტომბრისა და ნოემბერში.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს, კვების მრეწველობის სახ. კომისარიატს, სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატს, და გზათა სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცათ ულზრუნველყონ უმნიშვნელოვანესი სკოლების მშენებლობის დამთავრება ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დაწესებულ ვადებში, აგრეთვე ერთი თვის განმავლობაში, სათანადო რესპუბლიკების განსახკომებთან შეთანხმებით, ყველა იმ დანარჩენი სკოლის მშენებლობის დამთავრების ვადები, რომლებიც შენდება 1934 წელს, იმგვარად, რომ ეს სკოლები საექსპლოატაციოთ გადიეცეს 1935—36 სასწავლო წლის დამდეგს.

სკოლების მშენებლობის დაწყებულ ვადებში დამთავრებისათვის პირადად პასუხს აგებენ იმ საწარმოთა დირექტორები, რომლებთანაც შენდება სკოლები.

გარდა ამისა, ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭომ სარატოვის მხარის ორგკომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. კოზლოვს და ხელიანინსკის ოლქის ორგკომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. სოვეტნიკოვს მიუთითა სკოლების არადამაკმაყოფილებელ მომზადებაზე ახალი სასწავლო წლისათვის და დაავალა მათ ა.-წ. 1 ნოემბრისათვის აღმოფხვრან სკოლების მომზადების საქმეში არსებული დეფექტები. (ადს).

საგაგეთო მეზობლებში

I. სამეურნეო-პოლიტ-კამპანია გაზეთში

დაწყებული მარტის პირველ რიცხვებიდან, ა.ბ.შის სამხანეთ-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების გაზეთი „მოწინავე“ თავის ყურადღების ცენტრში აყენებს თესვის და ნათესების მოვლა-დამუშავების საკითხს. ყოველ ნომერში „მოწინავე“ აქვეყნებს მეიდიარ კონკრეტულ მასალას იმ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. კამპანიის მთელი პერიოდის განმავლობაში „მოწინავე“ იძლევა იმის საუკეთესო მაგალითს, თუ როგორ უნდა გაშალოს და წარმართოს პოლიტგანყოფილების გაზეთმა სამეურნეო-პოლიტიკური კამპანია.

გავეცნოთ, მოკლეთ, „მოწინავე“-ს მუშაობის მეთოდს.

1. „მოწინავე“ არ კმაყოფილდება გაზეთის ფურცლებით და იგი, პოლიტგანყოფილებასა და ცალკე კოლმეურნეობებთან ერთად, აქტიურად ებმება მასობრივ მუშაობაში (მინდვრის ბრიგადის, გაზეთები, გაზეთში გამოქვეყნებულ შენიშვნების განხილვა ადგილებზე, გლეხკორთა რეიდების ორგანიზაცია და სხვ.).

2. მასალა, რომელსაც გაზეთი უბეჭდავს (ინფორმაციები, ფელეტონები, წერილები), ძალიან ცოცხალია, ეფექტურია, ...

მეტი მზრუნველობა

ტფილისის სახელმწ. უნივერსიტეტს

ტფილისის სახ. უნივერსიტეტს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკავლევო სამეცნიერო მუშაობის გაშლის საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვსო. ეს. უნივერსიტეტის ქოული მუშაობა დაყრდნობილია დაზუსტებული პროფილებისა და საკავშირო ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების მიხედვით შედგენილ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე. ზაფხულის განმავლობაში უნივერსიტეტმა მოაწყო 20 სამეცნიერო ექსპედიცია და ასზედ მეტი მეცნიერული მიველინებები. საკვლევო ინსტიტუტებმა ჩაატარეს დიდი კვლევითი მუშაობა. სასწავლო წელი უნივერსიტეტმა კარგად დაამთავრა.

როგორ შეხედა უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს, სასწავლო წლის დამთავრებასთანავე ზუსტად აღინუსხა, თუ რა ნაკლი აქვს უნივერსიტეტს და რა აკლია, რომელ უბანზე რა და როდის უნდა გაკეთებულიყო.

შედეგი ასეთია: ჩატარებულია უნივერსიტეტის მთავარი შენობის მიმდინარე რემონტი, მთავრდება ორგანიული და ტექნიკური ქიმიის ლაბორატორიების კაპიტალური რემონტი, ჩატარდა ავრეთვე ფიზიკურ ლაბორატორიაში ელექტროგაყვანილობის კაპიტალური რემონტი, მიმდინარეობს სასურსათო ქიმიის ლაბორატორიის გადაკეთება და სხვ. შეკეთდა და გაფართოვდა სტუდენტთა სასადილოს შენობა 600 სტუდენტისათვის, რომელიც გაეყოფილია ორ ნაწილად, ამ შენობაში ცალკეა გამოყოფილი სასადილო ოთახი პროფესორ-ლექტორთა და ასპირანტთათვის.

